ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური

საბჭოს მიერ, ოქმი №07, 19.07.2022წ.

რექტორი, პროფესორი _____ მარინა ფიცხელავა

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის მიისიიდან გამომდინარე, უნივერსაიტეტის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება.

ამ მისიის შესასრულებლად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც დაეხმარება უნივერსიტეტს ინტეგრირდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში. პოლიტიკის მიზანია კოლაბორაციული საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების წარმოება საერთაშორისო საგანამანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან კავშირების ინიცირებით და გაღრმავებით, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამების და გარკვეული ტიპის სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობით.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მიმართულებები (დაგეგმილი ღონისძიებები) მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ერთად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავების კითხვარის ანალიზის საფუძველზე.

1. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დასაგეგმად, შემუშავდა შემდეგი მიმართულებები:

1) სტუდენტთა გაცვლით პროგრამები
2) აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები
3) გაცვლითი პროგრამების ინტეგრირება სასწავლო კურიკულუმებში
4) ადამინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამები
5) სასწავლო პროცესში უცხოელი პედაგოგების ჩართვა
6) ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება
7) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები საზღვარგარეთის უსდ-ეებთან
8) საერთო სამეცნიერო კვლევები და კონფერენციები საზღავარგარეთის უსდ-ებთან

9) იმ ტიპის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა, რომელთაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ

10) საზღვარგარეთის შრომითი ბაზრის კვლევის გათვალისწინება პროგრამების მოდიფიცირებისას

11) უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების მოზიდვა საგანმანათლებლო პროგრამებზე

2. ინტერნაციონალიზაციის კუთხით დაგეგმილი ღონიძიებები:

2.1 სტუდენტთა გაცვლით პროგრამები

ა. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში დარეგისტრირება (ERASMUS PLUS)

ბ. მემორანდუმების გაფორმება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების თაობაზე

2.2 აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები

ა. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში დარეგისტრირება (ERASMUS PLUS)

ბ. მემორანდუმების გაფორმება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან პერსონალის გაცვლითი პროგრამების თაობაზე

2.3 გაცვლითი პროგარმების ინტეგრირება სასწავლო კურიკულუმებში

ა. ხელშეკრულება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან/კლინიკებთან სასწავლო კურსების გავლის თაობაზე, რომლის აღიარებაც მოხდება სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტებში.

ბ. საგაზაფხულო სკოლები საზღვარაგერთის უნივერსიტეტებში და პრაქტიკა უცხოეთის კლინიკაში, რომლის აღიარებაც მოხდება პროგრამით გათვალისწინებულ არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტებში.

2.4 ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამები

ა. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში დარეგისტრირება (ERASMUS PLUS)

ბ. მემორანდუმების გაფორმება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების თაობაზე

2.5 ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება

ა. გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის და კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო კურიკულუმში ინგლისური ენის შესწავლის ამაღლება (მინიმუმ B2 დონე)

ბ. ინგლისური ენის უფასო სასწავლო კურსების უნივერსიტეტის პერსონალისათვის

2.6 სასწავლო პროცესში უცხოელი პედაგოგების ჩართვა

ა. უცხოელი პედაგოგების მოზიდვა საერთაშორისო შრომითი ბაზრიდან

ბ. მემორანდუმები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან უცხოელი პროფესორების მოსაზიდად

2.7 ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები საზღვარგარეთის უსდ-ებთან

ა. ერთობლივი საგანმანათლებლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე მუშაობა და დანერგვა

2.8 ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა და საერთაშორის კონფერენციები

ა. საერთაშორისო სიმპოზიუმების/კონფერენციების ორგანიზება

ბ) უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება

გ. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის უცხოელ კოლეგებთან ერთად ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა

დ. მემორანდუმები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან საერთო სამეცნიერო კვლევების წარმოების შესახებ

ე. უნივერსიტეტის პერსონალისთვის იმ ტიპის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა რომლებიც მიმზიდველია უცხოელი მკვლევარებისათვის, შედარებითი სამეცნიერო კვლევების წარმოებისას.

ვ. აკადემიური აფილირებული პერსონალის მოტივაციის გაზრდის მიზნით უცხოელ კოლეგებთან საერთო სამეცნიერო აქტივობები ფასდება მაქსიმალური ქულებით უნივერსიტეტში მოქმედი „აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტიულობის და ხარისხის შეფასების სისტემის" მიხედვით.

2.9 საზღვარგარეთის შრომითი ბაზრის კვლევის გათვალისწინება პროგრამების მოდიფიცირებისას

ა. ევროპის შრომით ბაზრის შესწავლა პროგრამული აკრედიტაციის წინ

ბ. საერთაშორისო შრომით ბაზრის მოთხოვნების მონიტორინგი

2.10 უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების მოზიდვა საგანმანათლებლო პროგრამებზე

ა. საერთაშორისო საგანამათლებლო გამოფენებში მონაწილეობა

ბ. ხელშეკრულებები საშუამავლო ფირმებთან

გ. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება.